ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1833063

ნომერი: AR1300946

თარიღი : 09.04.2015

გაცემის თარიღი : 15.04.2015

გაცნობის თარიღი : 15.04.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ფრედერიკ მონპერის ქუჩა , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დათა კვარაცხელია პ/ნ 58001009651
- სენაკი ლ.ქიაჩელის ქ. N 47 ბ. 17

ორგანიზაცია:
- შპს გეომეფი კოდი: 215149177

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1300946 09.04.2015 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ #01.72.14.042.473 საკადასტრო ერთეულზე საწყობის მოწყობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე საწყობის ასაშენებლად სამსახურის მიერ გაიცა #478 2009.06.16 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, #01/922 2009.07.16 ბრძანებით შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და #4266 2010.08.24 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართა (ნებართვის გაგრძელების ბრძანება #4266 2010.08.24.) იმ შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე არ არის ნაწარმოები მშენებლობა თავდაპირველად უნდა მოითხოვოთ აღნიშნული დოკუმენტაციის გაუქმება. რისთვისაც განაცხადი უნდა ატვირთოთ ვებ გვერდზე TAS.GE ელექტრონული განცხადებები –> სამართლებრივი საკითხები –> ადმინისტრაციულ –>სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება; რის შემდეგაც საკითხს დააყენებთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე. შეთანხმებული დოკუმენტაციის გაუქმებაზე მოთხოვნა უნდა დააყენოს ადმინისტრაციული აქტის მფლობელმა ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ ან წარმოდგენილი იქნეს მისი/მათი ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა. დამატებით გაცნობებთ, რომ დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 5–სა (სზ–5) და სატრანსპორტო ზონა 1–ში (ტზ–1). საცხოვრებელ ზონა 5 (სზ-5) წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 29 მარტის #4-13 გადაწყვეტილების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა (იხ. დანართი). კოეფიციენტები:
მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – 0.5;
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)– 2.1
მიწის ნაკვეთების გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) – 0,1.
სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) – წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს). (25.11.2011 N 12-55). სოფელ დიღომში სამსახურის მიერ შეთანხმებული „ჩარჩო გეგმის" შესაბამისად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია დანართზე დატანილი განაშენაინების რეგულირების ხაზების დაცვით (იხ. დანართი). ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად უნდა წარმოადგინოთ ტოპოგრაფიული გეგმა მ1:500 (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით), ხელმოწერილი პასუხისმგებელი პირის მიერ და დამოწმებული ბეჭდით, ხოლო სავალდებულო დაფა–ბანერის დახარვეზებულ ველში უნდა ატვირთოთ რეალური ბანერი. თვალსაჩინო ადგილას განთავსებული მინიმუმ A2 გაბარიტების საინფორმაციო დაფა (ფოტოები გადაღებული საპროექტო ადგოლას ახლო და შორი მანძილიდან), რომელზეც უნდა იყოს აღნიშნული მოსალოდნელი მშენებლობის მონაცემები, კერძოდ:
ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;
ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
დ) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები;
საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის

შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.